



**ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნულთა, შრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის სამინისტრო**

03 აგვისტო 2023


MOH 6 23 00000272

ქ.თბილისი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

**„ესენციური ჰიპერტენზიის მართვა მოზრდილებში პირველადი ჯანდაცვის დონეზე“ -
კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტის (პროტოკოლის) და
„არტერიული ჰიპერტენზიის მართვა“ - კლინიკური გზამკვლევის დამტკიცების თაობაზე**

„ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „კ2“ ქვეპუნქტის, მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის №473 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, „კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციებისა (გაიდლაინები), კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) და დაავადებათა მართვის კლინიკური გზამკვლევის შემუშავების, შეფასებისა და დანერგვის ეროვნული საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2023 წლის 17 მაისის N32/5 ბრძანებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დამტკიცდეს:

- ა) „ესენციური ჰიპერტენზიის მართვა მოზრდილებში პირველადი ჯანდაცვის დონეზე“ - კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი) - დანართი №1;
- ბ) არტერიული ჰიპერტენზიის მართვა - კლინიკური გზამკვლევი - დანართი №2;
- გ) რა უნდა ვიცოდეთ მაღალი არტერიული წნევის შესახებ - ინფორმაცია პაციენტისთვის - დანართი №3.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ესენციური ჰიპერტენზიის მართვა მოზრდილებში პირველადი ჯანდაცვის დონეზე“ - კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტის (პროტოკოლის) დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 20 აგვისტოს №01-327/ო ბრძანება.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მინისტრი
ზურაბ აზარაშვილი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

